მოსაზრება სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის - სრულწლოვანთა განრიდების სრულყოფისათვის

ბესიკ მეურმიშვილი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/spectri.2023.08.02.07

აბსტრაქტი

სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები - განრიდება და მედიაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტებია სახელმწიფოს ხელში, რათა ქვეყანაში უზრუნველყოფილ იქნეს კანონიერება და მართლწესრიგი. დღეს, ქართულ სისხლის საპროცესოსამართლებრივ სივრცეში ამ მექანიზმებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ განრიდება/მედიაცია მუდმივ განვითარებაში, დინამიკაშია. არასრულწლოვნების გარდა განრიდების გამოყენება დაიწყო სრულწლოვანთა მიმართაც, რაც უდავოდ დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა თეორიასა და პრაქტიკაში წარმოიშვა არაერთი კითხვა და მოსაზრება ამ ინსტიტუტის ეფექტურად, სწორად გამოყენებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ქართული სამართლებრივი სივრცეც დადგა ახალი გამოწვევების წინაშე. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა სრულწლოვანთა განრიდების მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც თითქმის სრულყოფილია, მაგრამ განრიდების სუბიექტის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, საჭიროებს შემდგომ დახვეწასა და სრულყოფას. წინამდებარე სტატიაში დაფიქსირებული და გაანალიზებულია მოსაზრებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სრულწლოვანთა განრიდების პროცესის სწორად წარმართვას და რაც მთავარია განრიდების სუბიექტის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

საკვანძო სიტყვები: განრიდება, მედიაცია, ტრადიციული მართლმსაჯულება, აღდგენითი მართლმსაჯულება.

Opinion for the improvement of the alternative mechanism of criminal prosecution – diversion of adults

Besik Meurmishvili, associate professor

David Aghmashenebeli University of Georgia, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

Alternative mechanisms of criminal prosecution – diversion and mediation are among the most important concepts in the hands of the state to ensure legality as well as law and order in the country.

Today, these mechanisms occupy a special place in the criminal procedural space of Georgia. It is also worth noting the fact that diversion/mediation is in constant development and dynamics. In addition to minors, diversion began to be applied for adults, which, undoubtedly, should be assessed positively. However, in theory and practice, a number of questions and opinions have arisen regarding the effective and correct use of this method. Accordingly, the Georgian legal space also faces new problems complications. In this regard, the norms regulating diversion of adults deserve special attention; they are perfect, but from the point of view of protecting the rights of the subject of diversion, they need further refinement and improvement.

This article records and analyzes opinions that will contribute to the proper management of the process of diversion for adults and – what is most important – to improving the legal status of the subject of diversion.

Keywords: diversion, mediation, traditional justice, restorative justice.

1. შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტები - განრიდება და მედიაცია ფართოდ გავრცელდა. ტრადიციული მართლმსაჯულების გვერდით აღდგენითი მართლმსაჯულების წარმოშობა და განვითარება განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ რიგ შემთხვევებში სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმი არ იყო ეფექტური და ბოლომდე ვერ უზრუნველყოფდა დანაშაულის პრევენციას. 1970

წლის შემდეგ, სისხლის სამართლის პროცესის მიმართულებით მომუშავე მეცნიერებმა და პრაქტიკოსმა მუშაკებმა დაიწყეს ახალი გზების მოძიება, რათა თავიდან აცილებულიყო დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ დანიშნული სასჯელების ნეგატიური შედეგები [1]. ამასთან, დაიწყო ზრუნვა იმაზეც, რომ მეტი აქცენტი გაკეთებულიყო დამზარალებელთა არა დასჯაზე, არამედ ზიანის ანაზღაურებაზე და დარღვეული სამართლებრივი ურთიერთობის ტრადიციული მართლმსაჯულების გარეშე აღდგენაზე [1]. აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამა პირველად 1974 წელს გამოიყენეს კანადაში; ამის შემდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება დაიწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში და ასევე ევროპის ქვეყნებშიც (საფრანგეთი, გერმანია, ნორვეგია და ა.შ.) [2]. კონტინენტურ ევროპაში აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენების გაძლიერება განაპირობა ასევე ევროპის საბჭოს R-(99) 19 რეკომენდაციამ, რომლის თანახმად, სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ მედიაციის ინსტიტუტის დანერგვას სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე [2,3].

აღდგენთი მართლმსაჯულება არის დანაშაულზე რეაგირების ახალი მიდგომა, რა დროსაც გათვალისწინებულია როგორც დანაშაულის ჩამდენი პირის, ასევე დაზარალებულისა და საზოგადოების ინტერესი [4]. მართლმსაჯულების ამ ფორმის მიზანია დანაშაულის ჩამდენი დაუბრუნდეს ნორმალურ ცხოვრებას, მოხდეს მისი ინტეგრაცია საზოგადოებაში [5], ასევე ჩადენილი სამართალდარღვევის შედეგად შექმნილი სიტუაცია გამოსწორდეს და ამასთანავე, მოხდეს დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინებაც [4].

2. აღდგენითი მართლმსაჯულების წარმოშობა საქართველოში (მოკლე ისტორიული მიმოხილვა)

აღდგენითი მართლმსაჯულების ინსტიტუტი საქართველოშიც დაინერგა და საკმაოდ წარმატებით განვითარდა [6], თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისით, საქართველო უნიკალური ქვეყანაა [7] და მედიატორთა ინსტიტუტი ქართველი ერის

სოციალური ცხოვრების განვითარების პირველივე საფეხურზე არსებობდა[8]. საქართველოში ფუნქციონირებდა სამედიატორო სასამართლო, რომლის დანიშნულებაც იყო მხარეთა მორიგება კონფლიქტში მყოფ პირთა შურისძიების თავიდან ასაცილებლად [9]. აღნიშნულ სასამართლოში პროცესი ისეთი წესებით ტარდებოდა, რომ მხარეებს შეეწყვიტათ დაპირისპირება [10,11]. სამედიატორო სასამართლოებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული სახელწოდება ჰქონდათ. ხევსურეთში მას „რჯულს“[10] უწოდებდნენ, ხოლო სვანეთში „მორევი“ (მრავლობითში „მორვალი“) ერქვა [12].

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების ჩანასახი საქართველოში ადრეც არსებობდა. შესაბამისად, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება შეიძლება ნოვაციად არც ჩაითვალოს თუ არ ჩავთვლით იმ თანამედროვე რეგულაციებს, რაც ამ პროგრამისათვის არის დამახასიათებელი.

3. სრულწლოვანთა განრიდების ძირითადი ასპექტები

დღეს, საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტები - განრიდება და მედიაცია რეგულირდება შემდეგი ნორმატიული აქტებით:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მუხლი 168[1]-168[2]);
2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (მუხლი 38-48);
3. სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის ბრძანება - „განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მედიატორების საქმიანობის წესისა და სამუშაო დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე “;
4. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის #120-ე ბრძანება, „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“;

5. „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების 2016 წლის 15 მარტის ერთობლივი ბრძანება #132/#95/#23.

ზემოთ აღნიშნული ნორმატიული აქტები შეეხება როგორც არასრულწლოვანთა განრიდება/მედიაციას, ასევე სრულწლოვანთა განრიდებასაც. წინამდებარე სტატიის ფარგლებში, თემის მრავალასპექტიანობის გამო აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტების სრულად განხილვა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ამჯერად, განხილული იქნება სრულწლოვანთა განრიდებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები. თუმცა საინტერესოა, თუ როგორ მოხდა სისხლისამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების თანამედროვე სისხლის საპროცესოსამართლებრივ სივრცეში დამკვიდრება.

2010 წლის სექტემბერში მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (შემდგომში სსსკ-ი) შევიდა ცვლილებები. სსსკ-ის 105-ე მუხლს დაემატა მე-4-მე-6 ნაწილები, რითაც განისაზღვრა განრიდებისა და მედიაციის გამოყენების წესი[13]. სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული და ამასთან, ამ მომენტისათვის ეს პირი 18 წლის არ იყო, პროკურორს ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო დასაბუთებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან უკვე დაწყებული დევნის შეწყვეტის შესახებ. თუმცა ეს ავტომატურად არ გულისხმობდა, რომ არასრულწლოვანი სრულად თავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისაგან. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ზემოთ დასახელებული გადაწყვეტილების მიღების დროს, პროკურორი უფლებამოსილი იყო პირთან გაეფორმებინა განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება, რომლის პირობებიც რეგულირდებოდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. არასრულწლოვნისათვის განსაზღვრული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, პროკურორს ჰქონდა უფლება გაეუქმებინა გადაწყვეტილება

სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეწყვეტის შესახებ და განეახლებინა სისხლისსამართლებრივი დევნა[14].

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, განრიდება და მედიაცია პირველ ეტაპზე გამოიყენებოდა მხოლოდ არასრულწლოვნის მიმართ. სსსკ-ის 105-ე მუხლის ზემოთ მითითებულმა ნორმებმა იმოქმედა 2015 წლის 12 ივნისამდე. ამ ეტაპზე, არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების - განრიდებისა და მედიაციის პროცესი დარეგულირებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით (შემდგომში - ამკ) და ზემოთ დასახელებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. ამკ-ით დადგენილი წესი მოქმედებს ასევე 18-დან 21 წლამდე ასაკის პირებზეც [14].

2011 წლის 21 ივნისს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელდა ცვლილება[15], რომლის თანახმად, დადგინდა სრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების შესაძლებლობა. სსსკ-ის 168^1-ე და 168^2-ე მუხლების მიხედვით, პროკურორს შეუძლია პირის მიმართ არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, თუ განრიდების სუბიექტი საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ ერთ ან რამოდენიმე პირობას შეასრულებს. განრიდების ეს წესი გამოიყენება მხოლოდ სრულწლოვნებზე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია განრიდების პირობები. ესენია[16]:

1) უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების ანაზღაურება;

2) დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა;

3) მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება;

4) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, რომლის მინიმალური ოდენობაა 500 ლარი;

5) საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება 40 საათიდან 400 საათამდე.

6) ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში, ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა.

მოქმედმა საპროცესო კანონმდებლობამ განსაზღვრა ასევე იმ დანაშაულთა წრეც, რომელზეც განრიდება არ ვრცელდება. კერძოდ, ესენია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143^1, 143^2, 143^3, 144-ე, 144^1, 144^2 და 144^3 მუხლებით და აგრეთვე სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით განსაზღვრული დანაშაულები.

პროკურორის მიერ შერჩეული განრიდების პირობები წერილობით ეცნობება სრულწლოვან განრიდების სუბიექტს. მას ასევე უნდა განემარტოს ამ პირობების შესრულების ნებაყოფლობითობის თაობაზე. განრიდების პროცედურის დაწყებამდე პროკურორი კონსულტაციას გადის დაზარალებულთან. პროკურორს შეუძლია დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ შემთხვევაში თუ განრიდების სუბიექტი არ შეასრულებს მისთვის დადგენილ პირობებს [5]. როგორც წესი, განრიდება გამოიყენება წინასასამართლო სხდომის გამართვამდე. თუ მხარეები შეთანხმდებიან და განრიდების გამოყენების მიზნით სასამართლოს მიმართავენ შუამდგომლობით საქმის პროკურორისათვის დაბრუნების შესახებ, განრიდება შეიძლება გამოყენებულ იქნეს წინასასამართლო სხდომის შემდეგაც. ამ დროს სასამართლო სისხლის სამართლის საქმეს გადაუგზავნის პროკურორს, რომელიც პირს განრიდებას შესთავაზებს. ბრალდებულის მიმართ, რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული, განრიდება არ გამოიყენება [14,17].

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, სრულწლოვანთა განრიდებასთან დაკავშირებული რეგულაციები მკაფიოდ არის გაწერილი სისხლის სამართლის

საპროცესო კოდექსის 168[1]-ე და 168[2]-ე მუხლებში და კანონმდებლობით თითქოს ყველაფერი გათვალისწინებულია, თუმცა აქვე შეიძლება დაისვას შემდეგი შინაარსის კითხვა: რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც განრიდების სუბიექტს სურვილი აქვს მასთან გაფორმდეს განრიდება და ბრალდება არ არის თანახმა? რა მექანიზმი აქვს კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს ან მის ადვოკატს სამართლებრივი ზემოქმედება მოახდინოს პროკურორის გადაწყვეტილებაზე? აღნიშნულ კითხვებზე პასუხი ცალსახაა, რომ დაცვის მხარეს არანაირი ბერკეტი არ გააჩნია შეცვალოს პროკურორის პოზიცია. შეიძლება არსებობდეს კიდეც შესაბამისი გარემოებები, რათა სრულწლოვან ბრალდებულთან გაფორმდეს განრიდება, მაგრამ ეს პროკურორმა არ გააეკეთოს. შესაბამისად, მაღალია რისკი იმისა, რომ ბრალდებამ ბოროტად გამოიყენოს უფლებამოსილება ან თუნდაც უბრალოდ შეცდომა დაუშვას გადაწყვეტილების მიღებისას. აქედან გამომდინარე, საჭიროა ბალანსის დაცვა, რათა განრიდების სრულწლოვან სუბიექტსაც ჰქონდეს შესაძლებლობა სრულუფლებიანად იყოს წარმოდგენილი განრიდების შესახებ მოლაპარაკების პროცესში. მხოლოდ პროკურორის შეხედულება გააფორმოს თუ არა განრიდება პირთან არ უნდა იყოს გადამწყვეტი. ამასთან, საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ბრალდების მხარე მოქმედებს საჯარო ინტერესის გათვალისწინებით და სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება მისი დისკრეციაა. პროკურორის მიერ საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებაში არ უნდა მოხდეს ჩარევა, მაგრამ ამ შემთხვევაში არ არის საუბარი იმაზე, რომ ბრალდების მხარის უფლებები შეიზღუდოს, არამედ თანაზომიერების პრინციპის დაცვით, კანონმდებლობით ისეთი მექანიზმის გათვალისწინება მოხდეს, რომელიც ხელს შეუწყობს განრიდების სუბიექტს დაიცვას თავისი პოზიცია. რა შეიძლება იყოს ის ინსტიტუტი, რომლის მეშვეობითაც კანონთან კონფლიქტში მყოფი სრულწლოვანი პირი შეძლებს საკუთარი უფლებების დაცვას?

თუ გადავხედავთ ქართულ სისხლის საპროცესო სამართლებრივ სივრცეს, დღეს აქტიურად მიდის საუბარი სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა უფლებების

ჯეროვან დაცვაზე. ამ თვალსაზრისით არაერთი ცვლილება შევიდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში [18]. არსებობს ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებიც [19], რითაც გაუმჯობესდა სისხლის სამართალწარმოების პროცესში ჩართული პირების სამართლებრივი მდგომარეობა. აღნიშნულის ნათელი მაგალითია 2023 წლის 27 ივლისს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება #1/5/1355,1389, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი დაზარალებულისათვის საპროცესო კანონმდებლობით დაწესებული აკრძალვა ყველა კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე სასამართლოში გაესაჩივრებინა პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის ან შეწყვეტის შესახებ[20]. აღნიშნული გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ გასაჩივრების ინსტიტუტი ერთ-ერთი ეფექტური მექანიზმია პროცესის მონაწილის დარღვეული უფლების აღსადგენად [20]. შესაბამისად, უმჯობესი იქნებოდა, რომ საპროცესო კანონმდებლობით, განრიდების სრულწლოვან სუბიექტსაც ჰქონოდა შესაძლებლობა პროკურატურის მხრიდან განრიდების გაფორმების შესახებ უარის თქმის შემთხვევაში, გაესაჩივრებინა ბრალდების მხარის ეს გადაწყვეტილება თუნდაც ზემდგომ პროკურორთან. დღეს, ამის უფლება განრიდების სუბიექტს არ გააჩნია[16,17].

გასაჩივრების ინსტიტუტის გარდა, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის ინტერესების დასაცავად შეიძლება განხილულ იქნეს სხვა მიდგომაც. ცნობილია, რომ ამკ-ის 39-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანი პირის განრიდების შესახებ გადაწყვეტილებას პროკურორი იღებს. თუმცა სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის წარმართვის შემდეგ, როგორც წინასასამართლო სხდომაზე, ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს, მოსამართლე უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით, საქმე დაუბრუნოს პროკურორს ბრალდებულთან განრიდების გაფორმების მიზნით.

მაშასადამე, არასრულწლოვან ბრალდებულთან განრიდების გაფორმება პროკურორის გადასაწყვეტია, მაგრამ კანონმდებლობით არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ ამ პროცესში ნეიტრალური ორგანო - სასამართლო ჩაერთოს და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით გადაწყვიტოს ეს საკითხი. განრიდების სრულწლოვან სუბიექტთან მიმართებაშიც შეიძლება მსგავსი მექანიზმის მოფიქრება და დანერგვა. აღნიშნული ხელს შეუწყობდა კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის უფლებების დაცვას და ამასთანავე, ბრალდების მხარეც უფრო მეტი სიფრთხილით მოეკიდება განრიდების შესახებ საკითხის გადაწყვეტას. რაც მთავარია თავიდან იქნება აცილებული პროკურორის მხრიდან თვითნებობისა თუ შეცდომების დაშვების ალბათობა.

4. დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სრულწლოვანთა განრიდების პროცესი მოითხოვს შემდგომ დახვეწას და სრულყოფას. ბრალდების მხარის პოზიცია რომ არ იყოს ცალსახა, საჭიროა განრიდების სუბიექტს ხელთ ჰქონდეს საჭირო ბერკეტი, რათა პროკურორის მხრიდან განრიდებაზე უარის თქმის შემთხვევაში მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. კერძოდ, კანონთან კონფლიქტში მყოფ სრულწლოვან პირს უნდა ჰქონდეს უფლება გაასაჩივროს ბრალდების მხარის უარი განრიდებაზე ან სასამართლოს ჩართულობით დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები.

ლიტერატურა

1. *ერცენი ი., ჯავახიშვილი ჯ., ჯავახიშვილი ლ.,* აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო, 2020, 18.

2.*ერცენი ი., ჯავახიშვილი ჯ., ჯავახიშვილი ლ.,* აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო, 2020, 19.

3.შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013, 7.

4.*გვენეტაძე ნ., კვაჭაძე მ., წიკლაური-ლამიხი ე., გაბუნია მ.,* არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება: განრიდება და მედიაცია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012, 16-20.

5.*ხუციშვილი ი.,* განრიდების განმეორებით გამოყენების სამართლებრივი მექანიზმი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, სამეცნიერო ჟურნალი „სპექტრი“, N6, თბილისი, 2022, 134.

6. საქართველოს მთავარი პროკურორის 2017 წლის ანგარიში, 8; განრიდების პროგრამებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები, <http://www.ganrideba.ge/?action=page&pid=52&lang=geo>, ბოლოს გამოხმობილია 15.09.2023.

7.*დავითაშვილი გ.,* სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევსურეთში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2001, 3.

8.*ვაჩეიშვილი ალ.,* ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტომი II, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1948, 17-18.

9.*დავითაშვილი გ.,* სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევსურეთში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2001, 5.

10.*დავითაშვილი გ.,* სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევსურეთში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2001, 5-6;

11.*დავითაშვილი გ.* დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011, 56.

12.*კეკელია მ.,* სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წიგნი II, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1981, 106-107.

13. მოქმედ სსსკ-ში შეტანილი ცვლილება-24/09/2010 - საქართველოს კანონი - 3616 - სსმ, 50, 24/09/2010.

14.*მეურმიშვილი ბ.,* განრიდება და მედიაცია, წიგნში: საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, *რედ. ფაფიაშვილი ლ.,* გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2017: 136-137.

15. მოქმედ სსსკ-ში შეტანილი ცვლილება - 21/06/2011 - საქართველოს კანონი - 4868-რს.

16.მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168[1]-ე მუხლი. 21/06/2011 - საქართველოს კანონი - 4868-რს.

17.მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168[2]-ე მუხლი. 21/06/2011 - საქართველოს კანონი - 4868-რს. იხ. *მეურმიშვილი ბ.,* განრიდება და მედიაცია, წიგნში: საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, *რედ. ფაფიაშვილი ლ.,* გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2017, 138.

18. მოქმედ სსსკ-ში შეტანილი ცვლილება - საქართველოს 2022 წლის 24 მაისის კანონი N1575-ვებგვერდი, 06.06.2022.

19. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები: N1/3/1312, კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2020 წლის 18 დეკემბერი; N2/2/1276, გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2020 წლის 25 დეკემბერი; N1/1/650,699, საქართველოს მოქალაქეები ნადია - ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2017 წლის 27 იანვარი; N2/2/1506, ლევან დარსალია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2022 წლის 13 აპრილი.

20.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 27 ივლისის N1/5/1355,1389 გადაწყვეტილება, სამსონ თამარიანი, მალხაზ მაჩალიკაშვილი და მერაბ მიქელაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.